

თემა - 1

თავი 1 . სამართლის ზოგადი დებულებები

შენარჩუნები

- ❖ შესავალი;
- ❖ სამართლის ცნება, სუბიექტი, ობიექტი;
 - ◆ სამართლი საზოგადოების ცხოვრებაში;
 - ◆ სუბიექტი, ობიექტი და მათი მახასიათებლები;
 - ◆ იურიდიული ფაქტი;
- ❖ სამართლის ნორმის ცნება და სახეები, სამართლის წყარო;
- ❖ სამართლდარღვევა და პასუხისმგებლობა;
- ❖ პირთა სამართლებრივი დაცვის გზები და საშუალებები.

შესავალი

ბიზნესში წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია მოწესრიგებული ბიზნესსამართლებრივი ურთიერთობების გარეშე. ამ თვალსაზრისით, ქართველ მეწარმეს მრავალი პრობლემა აქვს. მისი საქმიანობის ყოველ წუთს ახალი ურთიერთობები მოაქვს, რაც სამართლიანობისა და კანონიერების ფარგლებს არ უნდა გასცდეს. მეწარმეს ამ საკითხის მოგვარება სხვადასხვა გზით შეუძლია. აქედან, ერთ-ერთი გამოსავალია (განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესში) მეწარმის სამართლებრივი კულტურის ამაღლება, მისთვის კანონის ზუსტი განმარტება და საკუთარი უფლება-მოვალეობების შესწავლა. სხვა შემთხვევაში, აუცილებელია მეწარმეს ჰყავდეს დაქირავებული კვალიფიციური იურისტი ან სარგებლობდეს კომპეტენტური იურიდიულ-საკონსულტაციო ფირმების მომსახურებით.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კვალიფიციური იურისტის ან იურიდიულ-საკონსულტაციო ფირმების მომსახურება საკმაოდ ძვირად ღირებულია და მცირე და საშუალო ბიზნესს ასეთი ფუფუნების საშუალება არა აქვს. რაც შეეხება მსხვილიზნესს, ქართველ მეწარმეთა ნაწილმა ჯერ კიდევ ჯეროვნად ვერ გაითვითცნობიერა ასეთი მომსახურებით სარგებლობის აუცილებლობა, ზედმეტი დანახარჯის თავიდან აცილების მოტივით, რაც სამომავლოდ გაუგებრობებისა და უფრო მეტი დანახარჯების მიზეზი ხდება.

რაოდენ მარტივად აღსაქმელი და გასაგები არ უნდა იყოს სამართლის ნორმა და მისი მოთხოვნა, ეს არ ჩაითვლება იურისპრუდენციის ცოდნად. იურისტის პროფესიონალიზმი კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის სამართლის ნორმის მორგებაში ვლინდება, რაც იურიდიული განათლების არქონები, პროფესიონალი მენეჯერებისთვისაც დიდ სირთულეს წარმოადგენს. მაგალითად, სასამართლო პრაქტიკაში არცთუ იშვიათია არაპროფესიონალის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების თაობაზე წამოჭრილი დაგები. ხელშეკრულების ყოველი პუნქტის მიღმა მასზე ხელმომწერის დიდი პასუხისმგებლობა დგას, რადგან კანონმდებლობა ითვალისწინებს დაზარალებულის სასარგებლოდ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას.

წინამდებარე სასწავლო კურსი გამიზნულია მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებული მენეჯერებისა და ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელების დასახმარებლად. ასევე შეუძლიათ გამოიყენონ ინდივიდუალურმა მეწარმეებმა, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი იურიდიული სამსახურები და არ (ვერ) იყენებენ იურიდიულ-საკონსულტაციო ფირმების მომსახურებას.

1 . 1 . სამართლის ცნება, სუბიექტები, ობიექტები.

თემის შინაარსი:

- სამართლი საზოგადოების ცხოვრებაში;
- სუბიექტი, ობიექტი და მათი მახასიათებლები;
- იურიდიული ფაქტი.

მიზანი:

- განვსაზღვროთ სამართლის რომელ სფეროსთან გვიწევს შეხება;
- ვიპოვოთ ჩვენი თავი სამართლებრივ სივრცეში;
- გამოვარკვიოთ რა უფლება-მავალეობებით ვართ შეიარაღებულნი ამ ურთიერთობებში.

ადამიანის შინაგანი მოთხოვნილება ყოველთვის არის და იყო მისდამი სამართლიანი დამოკიდებულება, დაცულობის შეგრძება - ყველა იმ სახის ურთიერთობებში, რომელშიც ის მონაწილეობს. ასეთი გარანტირებული სამართლიანი დამოკიდებულების არსებობისთვის, აუცილებელია ისეთი წესების არსებობა, რომელსაც სავალდებულო ძალა ექნება შესასრულებლად, თანასწორობის პროცესზე იქნება აგებული და პირს მიანიჭებს თავისუფლებას.

სამართლი - თავისი საჭიროებიდან გამომდინარე კაცობრიობის არსებობის ყველა ეტაპზე არსებობდა, მაგრამ სხვადასხვა ფორმით იყო გამოხატული, რომლის საფუძველზეც შემუშავებული და შედგენილ იქნა კანონები. მისი საშუალებით საზოგადოებაში მოახდინა გარკვეული თვითბოჭვა, ანუ განსაზღვრა ქცევის საზღვრები.

საზოგადოებაში სამართლიანობის არსებობა გულისხმობს მართლწესრიგის არსებობასაც, რომელიც შედეგია სამართლის ნორმების რეალიზებისა საზოგადოებაში.

სამართლი არის ადამიანთა უმრავლესობის შეთანხმებული ნების გამოვლენის შედეგი (უკვე მიღებული და რეალიზებული ნორმების სახით).

ურთიერთობები, რომელსაც აწესრიგებს კონკრეტული სამართლებრივი ნორმები არის – **სამართლებრივი ურთიერთობა**, რომელიც ვითარდება ურთიერთობის სხვადასხვა სფეროებში.

თავისი რეალური შინაარსიდან გამომდინარე არ შეიძლება ყოველთვის გავაიგივოთ ერთმანეთთან სამართლი და კანონი. სამართალს უფრო ფართო გაგება აქვს, იგი რეალურად არსებობს ადამიანთა საზოგადოებში, კანონი კი შეიძლება ნაწილობრივ ჩავთვალოთ – მის ნაყოფად.

წარმოშობის მიხედვით კანონის მიღების ორი გზა არსებობს:

- I. საზოგადოებაში ჩნდება და შემდეგ მწიფდება რაღაც ურთიერთობები და დგება მისი მოწესრიგების აუცილებლობა, შედეგად მიღება - **მოწესრიგებული ნორმა**;
- II. სახელმწიფო ხელისუფლებას საკუთარ უფლებამოსილების განსახორციელებლად ჭირდება მარეგულირებული ნორმები რომელიც შეიძლება გამოხატულ იქნეს კანონის სახით, ე.ი. სამართლებრივი ნორმის მიღება ხდება 2 წყაროდან:

- საზოგადოებიდან
- ხელისუფლებიდან

მეორე წყაროს მიერ მიღებული ნორმატიული აქტი შეიძლება იყოს „უსამართლო - არ ეთანხმებოდეს საზოგადოების ინტერესებს. ამიტომ სრულიად ლიგიკურიც შეიძლება იყოს შენიშვნა - „ეს კანონი უსამართლოა”.

- **რისთვის ჭირდება სამართლი, კანონი, ნორმა - ადამიანს?**
- **რა ფუნქციებს ასრულებს და რას ემსახურება იგი?**

სწორედ სახელმწიფოს არსებობასთანაა პირდაპირ დაკავშირებული სამართლის არსებობის საჭიროება, ამიტომ მას ფუნქციონირებისთვის ჭირდება კანონი, ნორმა, რომლითაც იგი მართავს საზოგადოებას, ვინც თავად მიანიჭა მას უფლებამოსილება ყოფილიყო მართული.

სამართლის მოქმედების 2 ძირითადი სფერო არსებობს: - **კერძო და საჯარო.**

კერძო სამართლი - ეს არის კერძო პირთა შორის ურთიერთობა და დაფუძნებულია თანასწორუფლებიანობის პრინციპზე, სადაც უმაღლეს ხარისხშია აყვანილი პირის მიერ ნების გამოვლენა, რასაც ვერ ვიტყვით საჯარო სამართლის სფეროზე, რომელიც ემყარება ურთიერთდაქვემდებარების პრინციპს და მას იყენებს ხელისუფლება საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას, რომლის ფარგლებსაც განსაზღვრავს - **„საჯარო სამართლის“**.

მაგალითად:

„სამოქალაქო კოდექსში“ თავმოყრილია ისეთი ურთიერთობების მომწესრიგებული ნორმები, როგორიცაა: სამეზობლო ურთიერთობები, კერძო პირებს შორის სახელშეკრულების ურთიერთობები, საქორწინო ურთიერთობები, პირის მემკვიდრეობის საკითხები და ა.შ. ასევე, **„ნორმის სამართლში - დაქირავებულსა და დამქირავებულს შორის ურთიერთობა, სამეწარმეო სამართლში - განსაზღვრულია სამეწარმეო სუბიექტთა სამართლებრივ ფორმები.**

საჯარო სამართლის სფეროს განეკუთვნება: ადმინისტრაციული, სისხლის სამართლი, საკადასახადო (მგ: გადამხდელსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა) და ა.შ.

თუ პირი მონაწილის სტატუსითაა ნებისმიერ ზემოთ აღნიშნულ სფეროში, მაშასადამე იგულისხმება რომ, მასზეც ვრცელდება ამ კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებული ნორმები, ექცევა რა მისი რეგულირების ჩარჩოებში, იმენს გარკვეულ უფლებებს და ეკისრება გარკვეული კალდებულებები.

უფლებებისა და ვალდებულებების შემენა კი უკვე პირს აქცევს **სუბიექტული**. რომელიც არის სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი კომპონენტი. (მაგ: “მეწარმეთა შესახებ” კანონით სუბიექტი იქცევა – მეწარმედ, „შრომის კოდექსით“ – დაქირავებულად, დამქირავებულად). ისინი არიან პირები (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული), რომლებიც ერთმანეთთან შედიან სამართლებრივ ურთიერთობაში, ხოლო ის რაზეც მიმართულია სუბიექტთა ქმედება, არის **ობიექტი**.

სამართლის სუბიექტი – სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირი, რომელიც სამართლის ნორმის საფუძველზე სარგებლოს გარკვეული უფლებებითა და დაკისრებული აქვს გარკვეული მოვალეობები

სამართლის ობიექტი შეიძლება იყოს: ნივთები, ინფორმაცია, მოქმედებები და ა.შ.,
რომელთა გამოც სამართლის სუბიექტები
შედიან სამართლებრივ დამოკიდებულებაში

სამართლის ნორმები თავისთავად არ წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობას, მისი წარმოშობითვის საჭიროა იურიდიული ფაქტის არსებობა.

△ იურიდიულ ფაქტს წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული გარემოება, რომელიც წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას. ▽

როგორც დავინახეთ სუბიექტებს გააჩნიათ კონკრეტული მახასიათებლები, როდესაც ისინი შედიან სამართლებრივ ურთიერთობებში, კერძოდ: უფლება და მოვალეობა.

უფლება - არის სუბიექტის შესაძლებლობა, სამართლის ნორმის საფუძველზე, შეასრულოს გარკვეული მოქმედება ან მოთხოვოს სხვა პირს რაიმე მოქმედების შესრულება ან თავის შეკავება. უფლება, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ელემენტი, განსხვავდება უფლებაუნარიანობისაგან. უფლებაუნარიანობა სამართლის ყველა სუბიექტს გააჩნია, ხოლო უფლებას სუბიექტი იძენს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობაში მონაწილეობისას.

მოვალეობა - სამართლის სუბიექტის ისეთი სავალდებულო ქცევაა, რაც მან უნდა შეასრულოს სამართლის ნორმის საფუძველზე უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შესაბამისად.

სამართლებრივი ურთიერთობის თოთოეულ მონაწილეს სამართლი ანიჭებს უფლებას და აკისრებს ვალდებულებას, ამგვარი ურთიერთშემხვდერი უფლება-მოვალეობებით კი აწესრიგებს მათ.

ამრიგად, სამართლებრივი ურთიერთობა სამართლის სუბიექტის, ობიექტისა და უფლება-მდგრადობათა ერთობლიობა.

1 . 2 . სამართლის ნორმის ცნება და სახელბი. სამართლის ღყარო

თემის შინაარსი:

- სამართლის ნორმის არსი და მახასიათებლები;
- ნორმატიული აქტი და მათი იერარქია;
- სამართლის წყარო და მათი შინაგანი მნიშვნელობა.

მიზანი:

- შევიცნოთ სამართლის ნორმის არსი და მნიშვნელობა;
- შევძლოთ სამართლის ნორმის სახეების ამოცნობა და პრაქტიკაში მათი გამოყენება;
- გავეცნოთ სამართლის წყაროს.

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირები ხელმძღვანელობენ სამართლებრივი ნორმებით, რომელიც ადგენს, თუ როგორ უნდა მოიქცეს პირი, რისი გაკეთების უფლება აქვს და რაზე უნდა შეიკაოს თავი.

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლის ნორმას განმარტავენ, როგორც სახელმწიფოს მიერ დადგენილ ან სანქციონირებულ ქვეთის წესებს, რომლის დაცვა და შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნებითა და სახელმწიფორბრივი იძულებით.

სწორედ ნორმატიული ხასიათი და ფორმალური მოწესრიგებულობა განასხვავებს სამართალს სოციალური მოწესრიგების სხვა ფორმებისაგან (მაგ: როგორიცაა: ზნეობა, წეს-ჩვეულება, რელიგიური ნორმები და ა.შ.)

ნორმის აღსრულებისთვის სახემწიფოს მხრიდან ორი განსაკუთრებული უფლებამოსილება არსებობს:

- 1) **დარწმუნება** - სახლემწიფო ვალდებულია ნებისმიერი სამართლებრივი აქტი, რომელსაც გამოსცემს, საჯაროდ ცნობილი განადოს საზოგადოებისათვის (სხვადასხვა საშუალებებით), მაგრამ მხოლოდ ინფორმირება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პირმა შეასრულოს ნორმა. საჭიროა მოხდეს მისი დარწმუნება სხვადასხვა გზებით. მაგ: სამართლებრივი კულტურის ამაღლებით, კანონის ახსნა განმარტებით, მოქალაქეთა უფლებების გაფართოებით და მათი დაცვის მექანიზმის გაუმჯობესებით;
- 2) **იძულება** - რომელსაც სახელმწიფო მიმართავს საჭიროების შემთხვევაში და რომლითაც შეუძლია იმოქმედოს ადამიანის ცხოვრებაზე.

ნორმატიული აქტის დახასიათება და იურარქია:

აქტი (სამართლებრივი აქტი) ზოგადი სამართლებრივი ტერმინია და მოიცავს:

- საკანონმდებლო აქტებს
- კანონქვემდებარე აქტებს
- კონსტიტუციური შეთანხმებას
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას და შეთანხმებას
(იხ: საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ” (მ7).

სამართლებრივი ნორმები განსხვავდებიან ერთმენტისაგან და სხვადასხვაგვარად კლასიფიცირდებიან:

- დარგების
 - სფეროების
 - იურარქიის
 - საჯუიფიის
- }
მიხედვით

△ **სამართლის დარგი** – ეს არის ნორმების ერთობლიობა, რომლებიც აწესრიგებენ საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთ რომელიმე სფეროს. ▽

გაგალითად:

სამართლის დარგებია: სამოქალაქო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, სისხლის სამართალი და სხვა. ისინი ქმნიან მოქმედი სამართლის ერთიან სისტემას სახემწიფოში.

- **სამართლებრივი ნორმების იურისტის** – გულისხმობს - რომელი ნორმატიული აქტი რა საფეხურზე დგას, რომელ სამართლებრივ აქტს გააჩნია – **უპირატესი იურიდიული ძალა.**

ნორმატიული აქტების პრაქტიკული გამოყენებისას ვსარგებლობთ ნორმატიული აქტების იერარქიით, რომელსაც შემდეგნაირად განსაზღვრავს ” საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ”:

- **საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი**
- **საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება**
- **საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება**
- **საქართველოს ორგანული კანონი**
- **საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი,
საქართველოს პრეზიდენტის რეგლამენტი**

(იხ: საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ პ.7.(3))

ჩვენს ქვეყანაში კანონის შესასრულებლად სავალდებულო ძალას ანიჭებს და ამტკიცებს – **საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი.**

- **რა სახით შეიძლება წრმოდგენილ იქნეს სამართლებრივი ნორმა?**
- **როგორ ამოვიკნოთ და რას ვუწოდოთ “სამართლებრივი ნორმა”?**

სამართლის წყარო - ის სპეციფიკური ფორმაა, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს **სამართლის ნორმას.**

იგი გვხვდება შემდეგი სახით:

- **კანონი;**
- **კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი;**
- **ხელშეკრულება;**
- **სასამართლო პრეცედენტი;**
- **ჩვეულება.**

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

□ კანონი – განსაკუთრებული წესით მიღებული პირველადი სამართლებრივი აქტია სახელმწიფოს არსებობის ძირითად საკითხებზე, რომელიც გამოხატავს საერთო სახელმწიფო ნებას და რომელსაც გააჩნია უძალლესი იურიდიული ძალა.

კანონს უძალლესი იურიდიული ძალა გააჩნია და ამიტომ უპირატესობა აქვს სხვა ნორმატიული აქტების წინაშე.

კანონის 3 ძირითადი სახე არსებობს:

- **კონსტიტუციური კანონი;**
- **ორგანული კანონი;**
- **საქართველოს კანონი.**

კონსტიტუციური კანონი – საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მიიღება შემდეგ საკითხებზე:

- ა) ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა; (საქართველოს კონსტიტუცია მ.2,3)
- ბ) ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი;
- გ) კონსტიტუციის გადასინჯვისას.

ორგანული კანონი – მიიღება კონსტიტუციით განსაზღვრულ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე. (მაგ: საქართველოს ორგანული კანონი - “შრომის კოდექსი”, “საარჩევნო კოდექსი”, ”ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ”, “საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ” და ა.შ).

საქართველოს კანონი – ეს არის კანონები, რომლებიც გამოიცემა კონსტიტუციის შესაბამისად ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე.

(იხ: “საქართველოს ნორმატიული აქტების შესახებ” (მ.10.(2:5:6))

აუცილებელია ვიცოდეთ, როგორ გავიგოთ და გამოვიყენოთ ნორმატიული აქტი: ზოგადად, სახელმწიფო ხელისუფლება ვალდებულია, რომ საჯაროდ ხელმისაწვდომი და ცნობილი გახადოს ის ნორმატიული აქტები, რომლებსაც იგი მიიღებს. სხვადასხვა ნორმატიული აქტების **ძალაში შესვლა** – სხვადასხვა ფაქტებთანაა დაკავშირებული. აღნიშნულ საკითხს აწესრიგებს “საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ”.

ზემოთ აღნიშნული კანონი ითვალისწინებს ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას შემდეგ შემთხვევებში:

- 1) გავიდა ვადა, რომლითაც ის იქნა მიღებული;
- 2) მიღებულია ნორმატიული აქტი, რომელიც მას აცხადებს ძალადაკარგულად;
- 3) უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებულია ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის და სხვა საკანონმდებლო აქტის მიხედვით იწვევს მისი იურიდიული ძალის დაკარგვას.

(“საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ” მ.25(1))

ნორმატიულ აქტების განხილვისას მნშვნელოვანია ვიცოდეთ – **“ნორმატიული აქტების უფლებამოსილი საკითხი”** – რომელიც გულისხმობს დაშვებას: - ახალმა ნორმატიულმა აქტმა იმოქმედოს თუ არა მის მიღემაბდე მომხდარ ურთიერთობებზე.

“ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონი ამბობს, რომ:

- უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით:

(იხ: „კანონი ნორმატიული აქტების შესახებ“ მ.24.(1))

- ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამბიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არ აქვს.

(იხ: „ნორმატიული აქტების შესახებ“ მ.24(2))

- როგორ მოვიყეთ, თუკი სახეზეა 2 ერთი და ოგივე დონის (იერარქიის) მომწესრიგებელი ნორმა?
- რომელი ნორმატიული აქტით ვისარგებლოთ როცა გვაქვს არჩევანი ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის?

ამ შემთხვევას ეწოდება – ნორმატიული აქტების შესახებ.

პირველ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ ნორმას რომელიც თარიღით (დროით) უფრო გვიან გამოიცა.

(იხ: „საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ“ მ.7.(8))

მეორე შემთხვევაში – უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმებს.

(იხ: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მ.2(2))

■ კანონი ნორმატიული აქტების შესახებ – საქართველოს საკანონმდებლო სისტემის ერთ-ერთი სახეა. კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტი მითითებული უნდა იყოს, თუ რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა მიღებული (ვამოცემული) იყო. კანონს მასთან უპირატესი ძალა აქვს.

(იხ: „საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ“. (მ.7(7;9))

■ სამოქალაქო კოდექსი – ეს არის ორ მხარეს შორის დადგებული შეთანხმება გარკვეულ პირობებზე, რომელსაც მათთვის ეძღვევა შესასრულებლად სავალდებულო ძალა, მაგრამ მისი განსაკუთრებული ხასიათი გამოკვეთილად ვლინდება იმაში, რომ ამ ურთიერთობის პირობები – მხარეთა ნების გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებაა, რაც გვლისხმობს, რომ მხარეები თავიდანვე იღებენ ვადაწყვეტილებას, თუ რა სახის ურთიერთობა სურთ. ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც კერძო პირებს შორის, ასევე სახელმწიფოთა შორის, რაცას უწოდებენ – საერთაშორისო ხელშეკრულებას და შეთანხმებას, რომელიც შეიძლება შემდეგი სახის არსებობდეს:

- სახემწიფოთაშორისი;
- მთავრობათშორისი;
- უწყებათშორისი.

საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს ჩვენს ქვეყნაში კონსტიტუციის შემდეგ უპირატესი იურიდული ძალა გააჩნია ჩვენი ქვეყნის ნორმატიული აქტების მიმართ.

(იხ: „საქართველოს კონსტიტუცია“ (მ.6.(2)).

ჩვენი ქვეყანა ბევრი საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილეა, რომლის რატიფიცირებასაც საქართველოს საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი ახდენს.

კერძო პირთა შორის ხელშეკრულებები სამოქალაქო – სამართლებრივ ურთიერთობებში ძალზედ ხშირია (მაგ: დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ხელშეკრულება, ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება და ა.შ).

■ სასამართლო პრეცედენტი – ნორმატიული აქტის ერთ-ერთი წყაროა. მას სასამართლო იყენებს გადაწყვეტილების მისაღებად. ჩვენს ქვეყანაში პრეცედენტის გამოყენება დაიშვება – ზედა ინსტანციისა ქვედა ინსტანციების მიერ.

■ ჩვეულება – ეს არის ის წეს-ჩვეულებები, რომლებიც გააჩნიათ ადამიანებს და დამკვიდრებულია მათში. სამოქალაქო კოდექსი უშვებს მათ გამოყენებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, არსებული კანონმდებლობას და ავსებს ნორმას.

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ. 2(4))

სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული ყველა აქტი არ შეიცავს სამართლის ნორმას - **ანუ ზოგადი ხასიათის ქვევის წესის**, ამიტომ ეს აქტები არ წარმოადგენს სამართლის წყაროს. ასეთი აქტებით წყდება კონკრეტული ინდივიდულაური საკითხები. მაგალითად: პიროვნების დაჯილდოება.

სამართლის ნორმის გამოყენებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანია – სამართლის ნორმის განმარტება, რომელიც გვეხმარება ამა თუ იმ ნორმის შინაარსის უკეთ გაებაში.

იმის მიხედვით, თუ ვინ აწარმოებს სამართლის ნორმის განმარტებას იგი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს:

- ოფიციალური (ლეგალური);
- არაოფიციალური.

ოფიციალური (ლეგალური) განმარტება იყოფა – **ავთენტიფიურ** (იძლევა სამართლის ნორმის მიმღები ორგანო.) და **დელეგირებულ** (სამართლის ნორმაში პირდაპირ არის მითითებული, თუ რომელი ორგანოს აქვს უფლება ამ ნორმატიული აქტის განმარტების) განმარტებებად.

1 . 3 . სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა

თემის შინაარსი:

- სამართალდარღვევა და მისი სახეები;
- პირის ბრალის საკითხი სამართალდარღვევაში;
- პასუხისმგებლობა.

მიზანი:

- სწორად დაგაკვალიფიციროთ - რა ჩაითვლება სამართალდარღვევად;
- გავაცნობიეროთ ბრალის როლი პასუხისმგებლობაში;
- გავეცნოთ განზრახვას.

სახელმწიფოს, საზოგადოების სამართვად უპირველეს ყოვლისა, ესაჭიროება, რომ ქვეყანაში სრულდებოდეს – კანონები, ნორმები, ანუ არსებობდეს კანონიერება, რომელიც თავად გულისხმობს – კანონის მოთხოვნები იყოს დაცული ყოველი პირის მიერ.

კანონიერება განიმარტება, როგორც:

- △ 1) სახელმწიფოებისა და მისი ორგანოების,
 2) საზოგადოებრივი ორგანიზაციების,
 3) თანამდებობის პირებისა და
 4) მოქალაქეების

საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპი, რომლის მიხედვითაც ისინი ვალდებული არიან შეასრულონ მოქმედი კანონები და სწავლის ნორმატიული აქტები. ▽

აღნიშნულ ჩამონათვალში მოქცეულია ყველა პირი, რადგან არავინ არ სარგებლობს კანონის დარღვევის უფლებით.

ამ საკითხის განხილვისას დიდი მნიშვნელობა აქვს – **კანონიერების დაცვის უზრუნველყოფის** საკითხს.

სამართლებრივი ურთიერთობის ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს გარანტია იმისა, რომ მისი უფლებები დაცული იქნება – სადაც არ უნდა იყოს ის - საჯარო თუ კერძო სფეროში. ეს თავისთვის გაუმყარებს მას იმის რწმენას, რომ თავადაც არ დაარღვიოს კანონი, რადგან ეცოდინება, რომ მეორე მხარეს (ვის ადგილზეც შეიძლება ოდესლაც თავად იყოს) – დაიცვას კანონი.

ეს პრობლემა გაცილებით ადვილად იქნება მოგვარებადი თუკი საზოგადოებას ექნება “რწმენა: აუცილებლად დაიცვას კანონი” – და ეს გააკეთოს არა მხოლოდ იმისთვის რომ ეშინია დასჯის, არამედ სურს იყოს კანონმორჩილი, თავადაც დაცული და სურს სამართლებრივ სახელმწიფოში ცხოვრება.

კანონიერებასთან დაკავშირებულია მართლწესრიგის ცნება.

მართლწესრიგი – განსხვავდება ჩვეულებრივი წესრიგისაგან, რომელიც ბევრ სფეროში შეიძლება არსებობდეს. ეს არის სამართლებრივი ნორმებით რეგულირებული წესრიგი, რომელიც მყარდება კანონიერების პრინციპის ცხოვრებაში გატარების შედეგად.

მართლზომიერი ქცევა - ასევე გულისხმობს კანონის ფარგლებში პირის ქცევას.

კანონის, სამართლებრივი ნორმების შეუსრულებლობისას კი ადგილი აქვს – სამართალდარღვევას.

სამართალდარღვევა – ეს არის პირის გაცნობიერებული ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელსაც აქვს მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ანუ ადგილი აქვს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას. (ტერმინი „სამართალდარღვევა“ გამოიყენება – კერძო სფეროში. ტერმინი „დანაშაული“ – გამოიყენება სისხლის სამართალში).

იმისათვის რომ, პირის ქმედება ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ უნდა არსებობდეს 2 ძირითადი გამოხატულებიდან ერთ - ერთი:

- 1) პირდაპირ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონით დადგენილ ნორმებს;
- 2) **კანონით ან ხელშეკრულებით** დაკისრებული ვალდებულება არ უნდა სრულდებოდეს.

სამართალდარღვევა სამართლის სფეროს მიხედვით შეიძლება იყოს 3 სახის:

- 1) **ადმინისტრაციული სამართალდარღვევა** (გადაცდომა) – სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებების, მმართველობის წესების ხელმყოფი – **მართლსაწინააღმდევობობით და ბრალეული ქმედება;**
- 2) **დისკიპლინარული სამართალდარღვევა** – საჯარო და კერძო საწარმოს მუშაკის ისეთი არამართლზომიერი ქცევა, რომელიც დაკავშირებულია მის სამსახურებრივ საქმიანობასთან და ეწინააღმდეგება დადგენილ შინაგანაწესს;
- 3) **სამოქალაქო სამართალდარღვევა** – ისეთი არამართლზომიერი ქცევა, რომელიც არღვევს ქონებრივი ან არაქონებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს და ქონებრივ ზიანს აყენებს ფიზიკურ და უირიდიულ პირებს, აგრეთვე.

ძირითად შემთხვევებში (საგამონაკლისო შემთხვევებში შეიძლება არ დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი) „სამართალდარღვევას“ შედეგად მოსდევს – „იურიდიული პასუხისმგებლობა“.

იურიდიული პასუხისმგებლობას გააჩნია შემდეგი მახასიათებლები:

- პრევენციული ფუნქცია;
- იწვევს პირის სხვადასხვაგვარ შეზღუდვას (სხვადასხვა დოზით);
- ამაღლებს დისკიპლინას;
- იწვევს პირის დაცულობის შეგრძნებას.

ოურიდიული პასუხისმგებლობა, რომელიც თან მოსდევს **სამართალდარღვევას**, მიუხედავათ მისი შემზღვეველი ხასიათისა თავის თავში არ მოიაზრებს ადამიანის მიმართ მიმართულ ბოროტებას, ამიტომაც, სამართალდარღვევა იყოფა სხვადასხვა სიმძიმის და სფეროების მიხედვით:

- **სამოქალაქო**
- **ადმინისტრაციულ**
- **დისკიპლინარულ**

შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ ობიექტური და სამართლიანია დღევანდელი სამართალი, როდესაც ეხება პირს და მის უფლებებს. ამ პრინციპის დაცვა კი პასუხისმგებლობის დროს აუცილებელია.

იმისთვის რომ დადგეს იურიდიული პასუხისმგებლობა, აუცილებელია შეიცავდეს ისეთ ელემენტს, როგორიცაა - **პირის ბრალეულობის საკითხი.**

△ ბრალი – ეს არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ ქმედებასა და დამდგარი შედევისადმი. ▽

პირის ბრალეულობის საკითხს ეხება საქართველოს კონსტიტუციაც (იხ.მ.40) – ამით იგი ხაზს უსვამს იმას რომ პატივს სცემს ადამიანის თავისუფლებას.

ბრალთან ერთად უნდა არსებობდეს კიდევ ისეთი ელემენტები როგორიცაა პირის **ასაკი** და **შეურაცხადობა**, იმისთვის რომ შედეგად დადგეს იურიდიული პასუხისმგებლობა.

ბრალეულ ქცევას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სახის გამოვლინებები: მთავარია – პირის **განზრახვა**.

როგორც ავღნიშნეთ, სამართალდარღვევას, სადაც იკვეთება პირის ბრალეულობა, მოსდევს იურიდიული პასუხისმგებლობა, რომელიც შეიძლება გამოხატულ იქნეს სხვადასხვანაირად:

- ზიანის ანაზღაურებით;
- იძულებითი ღონისძიებებით.

პასუხისმგებლობის საკითხს დიდი მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს მთელს სამართლებრივ სისტემაში. რომ არა პასუხისმგებლობის მოლოდინი - პირის მხიდან და მის მიერ თადარიგის დაკავება – არ ჩაიდინოს სამართალდარღვევა, სახელმწიფო კერძო შეძლებდა საზოგადოების მართვას და ქვეყანაში **მართლწესრიგის შენარჩუნებას**.

მურიდული პასუხისმგებლობა – ეს არის დამცავი ჯავშანი სამართლებრივი ქცევისა და შესაძლო შედეგი – სამართალდარღვევის.

1 . 4 . პირის სამართლებრივი დაცვის გზები და საშუალებები

თემის შინაარსი:

- სამართლებრივი დაცვის გზები;
- სამართალწარმოების პროცესი;
- ანალოგია.

თემის მიზანი:

- გქონდეთ ინფორმაცია სამოქალაქო დავის დროს რა საშუალებებით ისარგებლოთ;
- იცოდეთ, სასამართლოში რა უფლება-მოვალეობები გაქვთ.

სამართლებრივი ურთიერთობის ყველა მონაწილე პირს აქვს უფლება დაიცვას საკუთარი უფლებები:

- 1) სასამართლოს; ან**
- 2) არბიტრაჟის გზით.**

ჩვენს ქვეყანაში სასამართლო 3 საფეხურისაგან (ინსტანციისაგან) შედგება:

I - რაონული (საქალაქო);

II - სააპელაციო;

III - საკასაციო (უზენაესი).

სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს მხოლოდ იმ პირთა საქმე, რომელიც შედის მის იურისდიქციაში.

(”საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ”. მ.3(2); საქართველოს კონსტიტუცია მ.42.(2))

თუკი დავა არის კერძო ხასიათის, მხარეთა შეთანხმებით შეიძლება დავები განიხილოს არბიტრაჟმა, რომელიც დღევანდელ თანამედროვე და განვითარებულ ქვეყნებში დიდ როლს ასრულებს დავების მოგვარების საკითხი, რადგან გამოირჩევა:

- დროში სისწრაფით;
- დავის მარტივი მოგვარების გზით;
- სიიაფით.

სასამართლო ხელისუფლება – დამოუკიდებელი და ცალკე მდგომი სუბიექტია. იგი არც სახელმწიფო ხელისუფლებას ემორჩილება და არც საზოგადოებას. მოსამართლე ასევე დამოუკიდებელი და ობიექტური უნდა იყოს.

(იხ. საქართველოს კონსტიტუცია მ.84(4))

საზოგადოების ყველა წევრს, ყველა პირს შეუძლია საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოს გზით. ეს მისი კონსტიტუციური უფლებაა.

(იხ. საქართველოს კონსტიტუცია (მ.42(1))

ასევე კონსტიტუციით გარანტირებულია პირის დაცვის უფლებაც.

(იხ. საქართველოს კონსტიტუცია მ.42(3))

მხარეს შეუძლია სასამართლოში წარდგეს წარმომადგენლის მეშვეობით თუმცა წარმომადგენლის ყოლა მას უფლებას არ ართმევს პირადად მიიღოს მონაწილეობა საქმეში.

მხარეები სასამართლო წარმოების დროს – თანასწორნი არიან ურთიერთობებში. არ აქვს მნიშვნელობა ვინ იქნება მხარედ წარმოდგენილი: ფიზიკური თუ იურიდიული პირი, თუ სახელმწიფო თავად.

სასამართლოში საქმის წარმოებისას და გადაწყვეტილების (მხოლოდ სამოქალაქო სამართლის სფეროში) მიღებისას შეიძლება დადგეს ფაქტი, რომ არ არსებობდეს სადაო ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა, და ვინაიდან სასამართლოს ამ მიზეზით არ აქვს უფლება უარი თქვას საქმის განხილვაზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

ითვალისწინებს ასეთ შემთხვევას და კანონის საფუძველზე მოსამართლეს აძლევს შემდეგი არჩევანის საშუალებას: - “გამოყენოს მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებული ნორმა”, რასაც ეწოდება - კანონის ანალოგია, ხოლო თუ ასეთი მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებული ნორმაც არ არსებობს, მაშინ ისარგებლოს კანონმდებლობის ზოგადი პრინციპებით, რასაც ეწოდება - “სამართლის ანალოგია”.

(იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (მ. 5(1:2))

ეს წესი ვრცელდება ასევე სამოქალაქო საპროცესო ნორმებზეც – სასამართლო საქმის წარმოებისას.

(იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (მ.7(2))

საეციალური ურთიერთობის მომწესრიგებული ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით.

(იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (მ.5(3))

ანალოგის გამოყენება აკრძალულია სისხლის სამართლში.

სამოქალაქო საქმეების განხილვისას – სასამართლოს არ აქვს უფლება უარი თქვას მართლმსაჯულების განხორციელებაზე. თუ:

- არ არსებობს სამართლის ნორმა;
- თუ სამართლის ნორმა არსებობს, მაგრამ ბუნდოვანია;
- თუ კანონის ნორმა მიიჩნიეს უსამართლოდ ან არაზნეობრივად.

(იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (მ.4.(1:2))

თუ კანონი უსამართლოდ ან არაზნეობრივად მიიჩნევა, ასეთ შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება და ნორმა განსახილველად გადასცეს – „საკონსტიტუციო სასამართლოს“:

(იხ. საქართველოს საპროცესო კოდექსი“ (მ.6(3)).

მხარეები სასამართლოში საქმის წარმოებისას – „შეჯიბრობითობის პრინციპით“ სარგებლობენ, რაც გულისხმობს, რომ – მათი თანაბარი უფლება - მავალეობების ფონზე უფლება აქვთ:

- დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები;
- უარყონ ან გააქარწყოლონ მეორე მხარის მოთხოვნები, მოსაზრებები და მტკიცებულებები;
- თავად განსაზღვრონ რა მტკიცებულებები წარადგინონ.

(იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი – (მ.4(1)

მხარეებს ასევე შეუძლიათ საქმე მორიგეობით დასრულონ, რაც გულისხმობს:

- მოსარჩევის მხრიდან – სარჩევლის უარის თქმას;
- მოპასუხის მხრიდან – სარჩელის ცნობას.

სამართალწარმოების უნა ჩვენი ქვეყნის სასამართლოებში არის – ქართული.

გადაწყვეტილება სასამართლოს გამოაქვს **საქართველოს სახელით.**

(იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი –(1)

კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, ასევე სასამართლოს მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ოუ კერძო საწარმოსთვის, ორგანიზაციისთვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის.

(იხ. საქართველოს კონსტიტუცია მ.82(2))

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით არავინ არ სარგებლობს კანონის დარღვევის უფლებით.